# ვართი ოჰანესიანი 80 წლისაა

გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ვართი ოჰანესიანმა დღემდე დიდი მუხლჩაუხრელი მოღვაწეობის 80 წელი განვლო, რომელიც მან შრომით ქართული სოფლის აღორძინებისა და ქართული სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოყვანისათვის მამულიშვილური თავდადებითა და უანგარო მსახურობით გამოიარა დღემდე.

იგი დაიბადა 1932 წლის 15 თებერვალს სოფელ სამსარში ახალქალაქის რაიონში, 1967 წელს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 1947-59 წლებში მუშაობდა ახალაქალაქის რაიონის სოფელ სამსარში კოლმეურნედ, ხოლო 1953-54 წლებში ახალქალაქის რაიონის მანქანა-ტრაქტორების გაერთიანების აგრონომად, 1954-57 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1957-64 წლებში მუშაობდა სოფელ სამსარის კოლეურნეობაში აგრონომად, შემდეგ ზოოტექნიკად, ხოლო 1964-67 წლებშI არჩეული იყო სოფელ სამსარის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1967-68 წლებში მუშაობდა ახალქალაქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარ სპეციალისტად, 1968 წელს დაინიშნა ალასტანის მეურნეობის მთავარ აგრონომად, ხოლო 1970 წელს ამავე მეურნეობის დირექტორად, სადაც მუშაობდა 1973 წლის ბოლომდე. 1974-79 წლებში მუშაობდა საქართველოს მ,იწათმოქმედების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ახალქალაქის ექსპერიმენტალურ მეურნეობაში, ჯერ უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1979 წელს დაინიშნა ამავე ინსტიტუტის ახალქალაქის ექსპერიმენტალური მეურნეობის დირექტორად, სადაც ამ თანამდებობაზე მუშაობდა ოცი წლის განმავლობაში.

1984 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. იგი არის ერთ-ერთი მეცნიერი, რომელსაც დაცული აქვს დისერტაცია კარტოფილის წარმოებასა და ახალი ჯიშების გამოყვანაზე. არის 20-მდე მეცნიერული შრომის ავტორი.



Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

# ვართ ოჰანესიანი

დიდია წვლილი ვართი ოჰანესიანის სოფლის მეურნეობის განვითარებაში, კერძოდ სამცხე-ჯავახეთში. მას მრავალი წლის განმავლობაში გამოჰყავდა კარტოფილის ახალი ჯიშები და უცხოეთიდან შემოტანილ სათესლე მასალას უკეთებდა დარაიონებას, ხელს უწყობდა კარტოფილის წარმოების ზრდას.

თუ დღეისათვის მთელ საქართველოში ასე რიგადმოსწონთ სამცხე-ჯავახეთში წარმოებული კარტოფილი, ეს უპირველეს ყოვლისა ვართი ოჰანესიანის დამსახურებაა.

1982 წელს მან დანერგა მეთოდი მინერალური სასუქებით სათესლე კარტოფილის გამოკვების შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში, გარეთვე მისი რეკომენდაციით დაინერგა სარეველა ბალახებთან ბრძოლის ახალი მეთოდი. მრავალი წლის განმავლობაში იგი იყო ადგილობრივი და რაიონული საბჭოს დეპუტატი. 1962 წელს მიიღო მონაწილეობა საკავშირო სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და მისმა მეურნეობამ პირველი ადგილი დაიკავა საქართველოში რძის წარმოებაში.

იგი იყო 22-ე საკავშირო ყრილობის დელეგატი და სოფლის მეურნეობის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისათვის დაჯილდოებულია არაერთი მედლითა და საპატიო სიგელით.

2008-2009 წლებში მიიღო მონაწილეობა არაერთ ფორუმსა და ტრეინინგში.

ფასდაუდებელია ბატონ ვართი ოჰანესიანის ღვაწლი სამცხე-ჯავახეთის ფერმერებისა და მცირე მეწარმეების – გლეხების წინაშე, მათთვის მარცვლეული კულტურისა და კარტოფილის წარმოებაში ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და სწავლებაში, ახალი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. იგი ყოველწლიურად მრავალ ფერმერსა და გლეხს უწევს კონსულტაციას და ამარაგებს ახალი მრავალმწარმოებლური სათესლე მასალით.

იგი დღესაც ახალგაზრდული შემართებით აგრძელებს თავის საყვარელ საქმიანობას მშობლიურ სამცხე-ჯავახეთში.

ვუსურვებთ ბატონ ვართის ჩვეული ენთუზიაზმით კიდევ დიდხანს ეღვაწოს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

*რედაქციისაგან*

---


**ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. რეგისტრირებულია თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ. რეგისტრაციის №19181.**

**რედაქტორის ტელ.: 2-36-51-16; 599-33-53-92.**

web: socialuri-economica.bpengi.com; www.socialuri-economica.ge

e-mail: social_economica@mail.ru; socialuri-economica@bpengi.com

**გადაეცა ასაწყობად 17.06.12.**

**ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.06.12.**

**სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24,5**

**ტექნიკური რედაქტორი და კორექტორი: ნანა სახეჩიძე**

**კორექტორები: თინა ცისკარიშვილი, ნანა ბლუაშვილი, ნანა ბოლქვაძე**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი: ზურაბ წერეთელი**





Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com